დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2025 წლის 26 ივნისი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 24 ნოემბრის №42 დადგენილებაში (matsne.gov.ge, 24/11/2017 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.156.016290) და დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული „დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის დებულებაში“ (დანართი N1) და:

1. ამოღებულ იქნეს მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტი.

2. მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„მუხლი 4. სამსახურის სტრუქტურა

სამსახური შედგება სტრუქტურული ქვედანაყოფის – ბიუჯეტის დაგეგმვისა და საბუღალტრო აღრიცხვის განყოფილებისგან.“

3. ამოღებულ იქნეს მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი.

4. მე-5 პუნქტის „ჟ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი ახალი რედაქციით:

„ჟ) შესყიდვებისა და ლოჯისტიკის სამსახურიდან მიღებული ხელშეკრულების პროექტის ანალიზს, რისთვისაც:“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2025 წლის პირველი ივლისიდან.

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **პაატა ყულიაშვილი**